ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №15/1

ქ. ფოთი 4 იანვარი 2012 წელი

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქი ფოთი, შემდგომში „შემსყიდველი", თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე ივანე საღინაძის სახით და მეორეს მხრივ, სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ს თავმჯდომარის გიორგი წიკლაურის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი" ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ – „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. ხელშეკრულების ღირებულება ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.5. „ვებგვერდი" - (შემდგომ – www.matsne.gov.ge) ნიშნავს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" ოფიციალურ ვებგვერდს, რომლის მეშვეობითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ღებულობს მომსახურეობას.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „---" ქვეპუნქტის შესაბამისად, შემსყიდველმა - თვითმმართველი ქალაქი ფოთი (თვითმმართველი ერთეული) 2012 წლის ასიგნებების ფარგლებში გააფორმა ხელშეკრულება მიმწოდებელთან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვებ გვერდზე ნორმატიული (არანორმატიული) აქტების გამოქვეყნების შესყიდვაზე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ში, შემდგომში მომსახურება, და მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს:

28 000 (ოცდარვა ათასი) ლარს.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ფაქტიურად გამოქვეყნებული ნორმატიული აქტების მოცულობის საფუძველზე.

3.3. ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

4.1. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 6 დეკემბრის №225 ბრძანების საფუძველზე ნორმატიული აქტების გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს:

ა) ერთი გვერდიდან 10 გვერდის ჩათვლით – თითოეული გვერდის გამოქვეყნებისთვის 20 (ოცი) ლარს;

ბ) 11 გვერდიდან 50 გვერდის ჩათვლით – თითოეული გვერდის გამოქვეყნებისთვის 15 (თხუთმეტი) ლარს;
გ) 50 გვერდზე მეტი – თითოეული გვერდის გამოქვეყნებისთვის 10 (ათი) ლარს.
გვერდების რაოდენობა იანგარიშება გამოსაქვეყნებლად წარდგენილი დოკუმენტის თითოეული გვერდის მიხედვით. არასრული გვერდი ჩაითვლება ერთ გვერდად.

5. მომსახურების შესაბამისობა

5.1. ხელშეკრულების მეორე მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი მომსახურებისათვის უკვე არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

6. მომსახურების მიწოდების პირობები და ვადები

6.1. გამოქვეყნების ვადები განისაზღვრება „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.
6.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge).

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება დასტურდება ვებ გვერდზე ნორმატიული (არანორმატიული) აქტების გამოქვეყნებით და წინამდებარე ხელშეკრულების 16.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი 2 ეგზემპლარად.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება წარმოებს ლარებში.
8.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ყოველი თვის მომსახურების შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და ფინანსური დოკუმენტაციის (ინვოისი) საფუძველზე, წარმოდგენიდან არა უგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. მხარეთა ვალდებულებები

9.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

9.1.1. უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი ნორმატიული (არანორმატიული) აქტების გამოაქვეყნება ვებგვერდზე.
9.1.3. უზრუნველყოს მიწოდებულ მომსახურებაზე გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:

9.2.1. იხელმძღვანელოს „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.
9.2.2. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
9.2.3. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების აღებული ვალდებულებების შესრულებასთან.

10. მხარეთა უფლებები

10.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
10.1.1. შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.
10.1.2. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

10.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:
10.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების კონტროლი და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია მიმწოდებელს, მისი აღმოფხვრის მიზნით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით გაუგზავნოს მეორე მხარეს შესაბამისი დამატებითი შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების თაობაზე.
12.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება, რომელიც წარმოიქმნება ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.
13.2. ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

14 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში ერთ-ერთი მხარე წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

15.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

16. ინსპექტირების პირობები

16.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესყიდული მომსახურეობის ინსპექტირება. ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი უწყების უფლებამოსილი პირი, რომელიც არ იმყოფება მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში ხელშეკრულებაში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მხარეთა მიერ აღებული (წარმოშობილი) ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
18.2. ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.
18.3. ხელშეკრულების 1 (ერთი) ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", 3 (სამი) - „შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
თვითმმართველი ქალაქი ფოთი	ს.ს.ი.პ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"
მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №12	მისამართი: ქ. თბილისი,გორგასლის ქ..№24 ტელ. 240 59 17
სს „ლიბერთი ბანკი" ფოთის ფილიალი	საიდენტიფიკაციო კოდი: 20386262 ს.ს. „საქართველოს ბანკი"
ბ/კ LBRTGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ს/კ №215138143	ანგარიშსწორების ანგარიში GE 91 BG 0000000347678600
ანგ № GE 94LB0120125805505000	
იყანე საღინაძე თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე	გიორგი წიკლაური თავმჯდომარე